

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2013 წლის 10 ივლისის
დადგენილება № 951

აკადემიური პერსონალის შრომითი
ანაზღაურების ოდენობისა და პირობების
განსაზღვრის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, სტუ-ს წესდების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, სტუ-ს აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებთან დაკავშირებით სტუ-ს აკადემიური საბჭო ადგენს:

1. აკადემიურთანამდებობაზე მყოფი პირის მაქსიმალური აკადემიური დატვირთვა განისაზღვროს 400 საათით;
2. სრული პროფესორის ანაზღაურება 1 აკადემიური საათი განისაზღვროს 36 ლარით, შესაბამისად სრული პროფესორის თვიური ხელფასი (400 საათის დატვირთვის შემთხვევაში) განისაზღვროს 1200 ლარით;
- 2.1. ასოცირებული პროფესორის ანაზღაურება 1 აკადემიური საათი განისაზღვროს 26,80 ლარით, შესაბამისად ასოცირებული პროფესორის თვიური ხელფასი (400 საათის დატვირთვის შემთხვევაში) განისაზღვროს 893 ლარით;
- 2.2. ასისტენტ პროფესორის ანაზღაურება 1 აკადემიური საათი განისაზღვროს 20 ლარით, შესაბამისად ასისტენტ პროფესორის თვიური ხელფასი (400 საათის დატვირთვის შემთხვევაში) განისაზღვროს 667 ლარით;
3. აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირების ანაზღაურება, რომლებიც ლექცია სემინარებს ატარებენ რუსულენოვან ჯგუფებში, აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ივნისის #696 დადგენილების მე-3 პუნქტის შესაბამისად, განისაზღვრება კოეფიციენტით 2, შესაბამისად
- 3.1. სრული პროფესორის ანაზღაურება 1 აკადემიური საათი განისაზღვროს 72 ლარით, შესაბამისად სრული პროფესორის თვიური ხელფასი (400 საათის დატვირთვის შემთხვევაში) განისაზღვროს 2400 ლარით;
- 3.2. ასოცირებული პროფესორის ანაზღაურება 1 აკადემიური საათი განისაზღვროს 53,60 ლარით, შესაბამისად ასოცირებული პროფესორის თვიური ხელფასი (400 საათის დატვირთვის შემთხვევაში) განისაზღვროს 1786 ლარით;
- 3.3. ასისტენტ პროფესორის ანაზღაურება 1 აკადემიური საათი განისაზღვროს 40 ლარით, შესაბამისად ასისტენტ პროფესორის თვიური ხელფასი (400 საათის დატვირთვის შემთხვევაში) განისაზღვროს 1334 ლარით;
4. აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირების ანაზღაურება, რომლებიც ლექცია სემინარებს ატარებენ ინგლისურენოვან ჯგუფებში, აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ივნისის #696 დადგენილების მე-3 პუნქტის შესაბამისად, განისაზღვრება კოეფიციენტით 3, შესაბამისად

4.1. სრული პროფესორის ანაზღაურება 1 აკადემიური საათი განისაზღვროს 108 ლარით, შესაბამისად სრული პროფესორის თვიური ხელფასი (400 საათის დატვირთვის შემთხვევაში) განისაზღვროს 3600 ლარით;

4.2. ასოცირებული პროფესორის ანაზღაურება 1 აკადემიური საათი განისაზღვროს 80.40 ლარით, შესაბამისად ასოცირებული პროფესორის თვიური ხელფასი (400 საათის დატვირთვის შემთხვევაში) განისაზღვროს 2679 ლარით;

4.3. ასისტენტ პროფესორის ანაზღაურება 1 აკადემიური საათი განისაზღვროს 60 ლარით, შესაბამისად ასისტენტ პროფესორის თვიური ხელფასი (400 საათის დატვირთვის შემთხვევაში) განისაზღვროს 2001 ლარით;

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
აკადემიური საბჭოს მდივანი

ა. ფრანგიშვილი
გ. სალუქვაძე